[●], 2023წ.

სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი“

შესყიდვის პოლიტიკა

თავი I
ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. მარეგულირებელი კანონმდებლობა

1. სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდში“ შესყიდვების განხორციელების პროცედურებს არეგულირებს შემდეგი ძირითადი აქტები:
   1.1. საქართველოს კანონი ,,სახელმწიფო შესყიდვების“ შესახებ და ამავე კანონის საფუძველზე მიღებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები;
   1.2. საქართველოს მთავრობის 2021 წლის 25 მარტის #124 დადგებილება “სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის მიერ“ საქონლისა და მომსახურების შესყიდვების სპეციალური წესის“ დამტკიცების შესახებ.
2. “სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის მიერ“ საქონლისა და მომსახურების შესყიდვების სპეციალური წესის“ №1 და №2 დანართებით გათვალისწინებული საქონლისა და მომსახურების შესყიდვების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება მხოლოდ ამ წესის შესაბამისად.

მუხლი 2. წინამდებარე დოკუმენტში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება:

ა) **შესყიდვა** – სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის მიერ“ ელექტრონული ან სხვა საშუალებების გამოყენებით ნებისმიერი საქონლის, მომსახურებისა და სამშენებლო სამუშაოს შესყიდვა, მათ შორის იმ საქონლისა და მომსახურების შესყიდვა, რომლებიც მოცემულია №1 და №2 დანართებში;

ბ) **შემსყიდველი ორგანიზაცია** (შემდგომში – საწარმო) – სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი“ (ს/კ: 404391975);

გ) **შესყიდვის ობიექტი** – შესასყიდი საქონელი ან/და მომსახურება ან/და სამშენებლო სამუშაო;

დ) **საქონელი** – ნებისმიერი სახისა და აღწერილობის საგანი, მათ შორის ის საქონელი, რომელიც მოცემულია №1 დანართში, ასევე საქონლის მიწოდების თანამდევი მომსახურება, თუ ამ მომსახურების ღირებულება არ აღემატება საქონლის ღირებულებას;

ე) **სისტემა** – სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემა;

ვ) **მომსახურება** – შესყიდვის ნებისმიერი ობიექტი, მათ შორის მომსახურება, რომელიც მოცემულია №2 დანართში;

ზ) **პრეტენდენტი** – საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც მონაწილეობას იღებს შესყიდვის პროცედურაში;

თ) **მიმწოდებელი** – პირი, რომელმაც შემსყიდველ ორგანიზაციასთან დადო ხელშეკრულება შესყიდვის შესახებ;

ი) **ფასთა გამოკითხვა** – შესყიდვის საშუალება, რომლის დროსაც საქონლისა და მომსახურების შესყიდვებისათვის დასაშვებია ვაჭრობა და გადაწყვეტილების მისაღებად ძირითადად განმსაზღვრელია ფასის კრიტერიუმი, თუმცა შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილებით, დასაშვებია შეფასების სხვა კრიტერიუმების გამოყენება იმ პირობით, რომ სხვა კრიტერიუმების პრიორიტეტულობის კოეფიციენტები ცალ-ცალკე ან ჯამურად არ აღემატებოდეს ფასის კრიტერიუმის პრიორიტეტულობის კოეფიციენტს;

კ) **ერთ პირთან მოლაპარაკება** – შესყიდვის საშუალება, როდესაც ხდება მიმწოდებლის პირდაპირი შერჩევა;

ლ) **დღე, კვირა, თვე, კვარტალი, წელი** – კალენდარული დღე, კვირა, თვე, კვარტალი, წელი;

მ) **ტენდერი** – შესყიდვის საშუალება, რომლის დროსაც მიმწოდებლის შერჩევას, სატენდერო წინადადებების შეფასების საფუძველზე, ახდენს შემსყიდველი ორგანიზაციის სატენდერო კომისია, ამასთან, საქონლისა და მომსახურების ტენდერის მეშვეობით შესყიდვის შემთხვევაში, დასაშვებია ვაჭრობა;

ნ) **ლოტი** – ერთი შესყიდვის ფარგლებში გამოყოფილი შესყიდვის ობიექტი;
ო) **ფასის კლების ბიჯი** – ფასის კლების ბიჯი შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულების 0.5 პროცენტიდან 2 პროცენტამდე ოდენობით;
პ) **შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტები** – მსგავსი კომპონენტების, ტექნიკური მახასიათებლების ან/და ფუნქციების მქონე ურთიერთჩანაცვლებადი შესყიდვის ობიექტები.
ჟ) **სპეციალური წესი** - სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის მიერ“ საქონლისა და მომსახურების შესყიდვების სპეციალური წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 25 მარტის #124 დადგენილება.

მუხლი 3. სახელმძღვანელო პრინციპები

1. „სახელმწიფო შესყიდვების“ შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვები ხორციელდება შემდეგი პრინციპების დაცვით:
   1.1. სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფა;
   1.2. აუცილებელი საქონლის წარმოების, მომსახურების გაწევისა და სამშენებლო სამუშაოს შესრულების სფეროში ჯანსაღი კონკურენციის განვითარება;
   1.3. სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას შესყიდვების მონაწილეთა მიმართ პროპორციული, არადისკრიმინაციული მიდგომისა და თანასწორი მოპყრობის უზრუნველყოფა;
   1.4. სახელმწიფო შესყიდვების საჯაროობის უზრუნველყოფა.

მუხლი 4. ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები

1. ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები ეხება სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებულ შემდეგ საქმიანობას:
   1.1. საკვალიფიკაციო მონაცემებისა და სატენდერო წინადადებების განხილვას, შერჩევას და შეფასებას;
   1.2. კანონითა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში მოლაპარაკების გამართვას;
   1.3. ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლსა და ზედამხედველობას;
   1.4. მიმწოდებლის შერჩევას გამარტივებული შესყიდვის შემთხვევაში;
   1.5. საკონკურსო წინადადების განხილვა და კონკურსის მეშვეობით მიმწოდებლის შერჩევა;
   1.6. სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავის განხილვას.
2. სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის მიერ“ საქონლისა და მომსახურების შესყიდვების სპეციალური წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 25 მარტის #124 დადგენილების შესაბამისად, ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილება დამატებით ეხება ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების, სატენდერო დოკუმენტაციისა და სხვა მასალების მომზადებას.
3. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული საქმიანობის განმახორციელებელ ფიზიკურ პირს ექნება ინტერესთა კონფლიქტი პრეტენდენტთან ან მიმწოდებელთან, თუ მათ შორის არსებობს საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-19 მუხლით გათვალისწინებული ურთიერთობები. თუ პრეტენდენტი ან მიმწოდებელი არის ამ კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული შემსყიდველი ორგანიზაცია, ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებულ საკითხებზე საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-19 მუხლის დებულებების გავრცელების

შემთხვევები განისაზღვრება კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით, სახელმწიფო შესყიდვების თავისებურებათა გათვალისწინებით.

4. სპეციალური წესის შესაბამისად :
   4.1. დაუშვებელია, საწარმომ შესყიდვის მომზადება, განხორციელება ან/და მასზე ზედამხედველობა დააკისროს პირს ან კონსულტანტად (ექსპერტად) მიიწვიოს პირი, თუ იგი:
      4.1.1. ფიზიკური პირია და არის შესყიდვის მონაწილე რომელიმე იურიდიული პირის ხელმძღვანელის ან უშუალო მონაწილის ახლო ნათესავი;
      4.1.2. ბოლო 2 წლის განმავლობაში მუშაობდა შესყიდვის მონაწილე ორგანიზაციაში;
      4.1.3. პირადი ან საქმიანი ინტერესით დაკავშირებულია ან ასეთი კავშირის დასამყარებლად მოლაპარაკებას აწარმოებს შესყიდვის მონაწილე იურიდიულ ან ფიზიკურ პირთან.
      4.1.4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განხორციელების მონაწილეა;
      4.1.5. ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით, შესყიდვის განხორციელების თაობაზე მოლაპარაკების მონაწილეა.

თავი II
საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის შესყიდვების კომიტეტის სტრუქტურა და საქმიანობის წესი

მუხლი 5. კომიტეტის მიზანი, ამოცანები და საკითხები

1. კომიტეტის მიზანს წარმოადგენს ფონდის მიერ საქონლისა და მომსახურების შესყიდვის მიზნით შესაბამისი პროდეცურების განხორციელების უზრუნველყოფა.
2. კომიტეტი იღებს გადაწყვეტილებებს შემდეგ საკითხებზე:
   2.1. ფონდის შეუფერხებელი საქმიანობისათვის შესყიდვების გეგმის შედგენა;
   2.2. მომავალი წლის ბიუჯეტის მომზადებისთვის საჭირო შესყიდვების გეგმის მომზადება-განხილვა;
   2.3. საჭიროების შემთხვევაში დამტკიცებული ბიუჯეტის კორექტირებისათვის შესყიდვების გეგმის მისადაგება;
   2.4. ფონდის მიერ პროექტებისათვის მომსახურობის და საქონლის შესყიდვა;
   2.5. მიმდინარე შესასყიდი საქონლისა და მომსახურების განხილვა;
   2.6. შესასყიდი მომსახურების თუ საქონლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან და შესყიდვების გეგმასთან შედარება-განხილვა;
   2.7. მიმდინარე მნიშვნელოვანი საკითხების მოგვარება.
   2.8. შესყიდვების გეგმის შემუშავება/ცვლილება და დასამტკიცებლად წარდგენა;
   2.9. მიმდინარე პროექტების განვითარებისთვის საჭირო საქონლისა და მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა და გადაწყვეტილებების მიღება;
   2.10. სხვა საკითხები, ფონდის ინტერესებიდან გამომდინარე.

მუხლი 6. კომიტეტის სტრუქტურა

1. კომიტეტი შედგება შემდეგი 5 (ხუთი) წევრისგან:
   1.1. დირექტორის მოადგილე იურიდიულ საკითხებში - კომიტეტის თავმჯდომარე;
   1.2. ფინანსური დირექტორი _ კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე;
   1.3. ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი - კომიტეტის წევრი;
   1.4. ბიუჯეტირებისა და რეპორტინგის სამსახურის უფროსი _ კომიტეტის წევრი;
   1.5. შესყიდვების მენეჯერი _ კომიტეტის წევრი.

მუხლი 7. კომიტეტის საქმიანობის წესი

1. კომიტეტის თავმჯდომარე სხდომის ჩატარებამდე ერთი დღით ადრე ელექტრონული ფოსტით ატყობინებს კომიტეტის წევრებს სხდომის დღის წესრიგს;
2. კომიტეტის ნებისმიერ წევრს შეუძლია მოსთხოვოს კომიტეტის თავმჯდომარეს რიგგარეშე სხდომის მოწვევა, თუ განსახილველი საკითხი დაკავშირებულია ფონდის მნიშვნელოვან ინტერესებთან და მოითხოვს კომიტეტის გადაწყვეტილებას ფონდის წესდების შესაბამისად.
3. კომიტეტი გადაწყვეტილებაუნარიანია თუ მას ესწრება წევრთა 2/3 მაინც. კომიტეტი გადაწყვეტილებებს იღებს დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით, ღია კენჭისყრით.
4. კომიტეტის წევრებს უფლება არ აქვთ თავი შეიკავონ რომელიმე საკითხზე გადაწყვეტილების მიღებისგან. კომიტეტის იმ წევრს, რომელსაც გააჩნია განსხვავებული მოსაზრება გადაწყვეტილების მიღებისას, შეუძლია წერილობით ჩამოაყალიბოს თავისი განსხვავებული აზრი, რომელიც თან უნდა დაერთოს კომიტეტის სხდომის ოქმს.
5. თუ სხდომაზე კენჭისყრისას ხმები თანაბრად გაიყო, გადამწყვეტი ხმის უფლება აქვს კომიტეტის თავმჯდომარეს;
6. კომიტეტის ყველა სხდომაზე დგება სხდომის ოქმი, რომელშიც შეიტანება სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებები;
7. კომიტეტში სხდომისდღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების შინაარსიდან გამომდინარე, სხდომაზე შეიძლება მოწვეულ იქნენ სხვა პირებიც სათათბირო ხმის უფლებით ან მის გარეშე;
8. კომიტეტის თითოეული წევრი ვალდებულია დაესწროს კომიტეტის სხდომას.
9. კომიტეტის სხდომის მიმდინარეობა აისახება სხდომის ოქმში, რომელსაც ხელს აწერს კომიტეტის ყველა წევრი.
10. კომიტეტის თავმჯდომარის არყოფნისას მის მოვალეობებს ასრულებს კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.
11. სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებას კომიტეტი აცნობებს შესაბამის კომისიას, რომელიც პასუხისმგებელია კონკრეტული სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებაზე.

თავი III
შესყიდვების დაგეგმვა

მუხლი 8. შესყიდვების დაგეგმვა

1. შემსყიდველი ორგანიზაცია შესყიდვებს ახორციელებს წინასწარ განსაზღვრული შესყიდვების წლიური გეგმის შესაბამისად, რომლის ფორმა და შედგენის წესი განისაზღვრება კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით.
2. მრავალწლიანი შესყიდვა ყოველწლიურად აისახება შესაბამისი საბიუჯეტო წლის შესყიდვების გეგმაში. შესყიდვა არ განიხილება მრავალწლიან შესყიდვად, თუ იგი ხორციელდება მხოლოდ მიმდინარე საბიუჯეტო წლის განმავლობაში გათვალისწინებული ასიგნებებით, ხოლო მიწოდება ხდება მომდევნო საბიუჯეტო წლის განმავლობაში.
3. შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ საბიუჯეტო (საფინანსო) წლის განმავლობაში ერთგვაროვანი საქონლის, მომსახურების ან სამუშაოს შესყიდვა განიხილება ერთ შესყიდვად, თუ ისინი ერთი წყაროდან ფინანსდება.
4. მომდევნო წლის შესყიდვების წლიურ გეგმას შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელი წარუდგენს სააგენტოს არაუგვიანეს მიმდინარე წლის 20 ნოემბრისა, რის შემდეგაც შემსყიდველ ორგანიზაციას შეუძლია დაიწყოს მომდევნო წლისთვის/წლებისთვის აუცილებელი სახელმწიფო შესყიდვების განხორციელება.
5. შესყიდვების წლიური გეგმის პროექტის შემუშავების დროს გათვალისწინებულ უნდა იქნეს:

5.1. შესყიდვის განხორციელების აუცილებლობა;
5.2. შესყიდვის ობიექტთა ერთგვაროვნება;
5.3. მსგავსი შესყიდვის განხორციელების გამოცდილება;
5.4. შესყიდვის ობიექტის (საქონელი, მომსახურება, სამუშაო) განსაზღვრა;
5.5. პოტენციური მიმწოდებლების გამოვლენისა და შემსყიდველი ორგანიზაციისათვის მისაღები ხელშეკრულების პირობების განსაზღვრის მიზნით ბაზრის გამოკვლევის შედეგები;
5.6. შესყიდვის ობიექტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში, რომლის კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით შესყიდვაზედაც თანახმაა შემსყიდველი ორგანიზაცია;
5.7. შესყიდვის საშუალების შერჩევის საფუძველი, შესყიდვის პროცედურების სავარაუდო ვადები;
5.8. მისაწოდებელი საქონლის რაოდენობა, შესასრულებელი სამუშაოს ან გასაწევი მომსახურების მოცულობა არსებული მარაგების გათვალისწინებით;
5.9. შესყიდვის ობიექტების სავარაუდო ღირებულება;
5.10. შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები;
5.11. გრძელვადიანი ხელშეკრულებებით ან წინა წელს დადებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ფინანსური ვალდებულებები მიმდინარე წლისათვის;
5.12. დასადები ხელშეკრულების შესრულების სავარაუდო ვადები;
5.13. შესყიდვასთან დაკავშირებული სხვა გარემოებები.

6. თუ შემსყიდველი ორგანიზაცია იქმნება (ფუძნდება) ან იღებს დამატებითი დაფინანსების წყაროს შემდეგი სახსრებით, შესყიდვების წლიურ გეგმას ამტკიცებს შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელი და წარუდგენს სააგენტოს შექმნის (დაფუძნების) ან ამ დამატებითი დაფინანსების მიღების თვის მომდევნო თვის არა უგვიანეს 20 რიცხვისა:
   6.1. იმ საწარმოს მიერ, რომლის აქციათა ან წილის 50%-ზე მეტს ფლობს სახელმწიფო ან მუნიციპალიტეტი/მუნიციპალიტეტები უცხო ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციებისაგან საერთაშორისო ხელშეკრულებების საფუძველზე, აგრეთვე სხვა სახელმწიფოს რეზიდენტი პირებისაგან გრანტისა და კრედიტის სახით მიღებული სახსრებით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სახელმწიფო შესყიდვები ხორციელდება მსოფლიო ბანკის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის, აზიის განვითარების ბანკის, გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის (KFW) და ევროპის საინვესტიციო ბანკის (EIB) მიერ განსაზღვრული შესყიდვების პროცედურების შესაბამისად კანონმდებლობით დადგენილი წესის მიხედვით ;
   6.2. სახელმწიფო გარანტიით მიღებული საკრედიტო და საინვესტიციო სახსრებით;

თავი IV
შესყიდვის საშუალებები

მუხლი 9. შესყიდვის საშუალებები

1. საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი სახელმწიფო შესყიდვებს ახორციელებს შემდეგი საშუალებების გამოყენებით:
   1.1. კონკურსი
   1.2. კონსოლიდირებული ტენდერი
   1.3. გამარტივებული შესყიდვა
   1.4. ელექტრონული ტენდერი
   1.5. ერთ პირთან მოლაპარაკება
   1.6. ფასთა გამოკითხვა

მუხლი 10. კონკურსი

1. შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილებით, საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა შეიძლება განხორციელდეს კონკურსის საშუალებით.
2. საკონკურსო განცხადება და საკონკურსო დოკუმენტაცია უნდა გამოქვეყნდეს სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში, რის შედეგადაც საკონკურსო განცხადებას ენიჭება უნიკალური ნომერი და საკონკურსო განცხადება და საკონკურსო დოკუმენტაცია ოფიციალურად გამოქვეყნებულად ითვლება.
3. კონკურსს ატარებს საკონკურსო კომისია, რომელსაც, არანაკლებ სამი წევრის შემადგენლობით, ქმნის შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელი ან მის მიერ უფლებამოსილი მისი მოადგილე. საკონკურსო კომისიის წევრებად ინიშნებიან შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელი ან/და მისი მოადგილეები, ამ ორგანიზაციის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები. იმ შემთხვევაში, როდესაც ხელმძღვანელ პირთა რაოდენობა არასაკმარისია, კომისიის წევრებად შეიძლება დაინიშნონ შემსყიდველი ორგანიზაციის სხვა თანამშრომლებიც.
4. საკონკურსო კომისიას თავმჯდომარეობს შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელი ან მის მიერ დანიშნული პირი.
5. საკონკურსო კომისიის საქმიანობის ტექნიკური და ორგანიზაციული უზრუნველყოფის მიზნით, შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელის ან მის მიერ უფლებამოსილი მისი მოადგილის გადაწყვეტილებით, ამ ორგანიზაციის თანამშრომელთაგან იქმნება საკონკურსო კომისიის აპარატი, რომელსაც ხელმძღვანელობს საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე.
6. საკონკურსო კომისია უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მის სხდომას ესწრება არანაკლებ სამი წევრი. კომისია გადაწყვეტილებებს იღებს კომისიის წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. საკონკურსო კომისიის წევრს, რომელიც არ ეთანხმება კომისიის გადაწყვეტილებას, უფლება აქვს, წერილობით წარადგინოს თავისი აზრი, რომელიც უნდა დაერთოს საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებას. ხმათა თანაბრად განაწილების შემთხვევაში, გადამწყვეტია საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის ხმა.
7. საკონკურსო კომისიის ნებისმიერი გადაწყვეტილება უნდა აისახოს საკონკურსო კომისიის შესაბამისი სხდომის ოქმში. გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება მხოლოდ საკონკურსო კომისიის ყველა დამსწრე წევრის მიერ ოქმზე ხელმოწერის შემდეგ. საკონკურსო კომისიის ნებისმიერი სხდომისოქმი, გარდა საკონკურსო პირობების დამტკიცების შესახებ სხდომის ოქმისა, სისტემაში უნდა აიტვირთოს ხელმოწერისთანავე.

მუხლი 11. კონსოლიდირებული ტენდერი

1. კონსოლიდირებული ტენდერი არის საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრულ შემთხვევაში შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტების შესყიდვის მიზნით სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ განხორციელებული პროცედურა, რომლის დროსაც ვლინდება საუკეთესო სატენდერო წინადადება.
2. კონსოლიდირებულ ტენდერს ატარებს საქართველოს მთავრობის მიერ შექმნილი სატენდერო კომისია. კონსოლიდირებული ტენდერის შესყიდვის ობიექტი, განისაზღვრება საქართველოს მთავრობისა და შესაბამისი კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციით.
3. სატენდერო კომისიის შემადგენლობას განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა.
4. იმ შემსყიდველი ორგანიზაციების წრე, რომელთათვისაც სავალდებულოა კონსოლიდირებული ტენდერის მოქმედება, განისაზღვრება შესაბამისი კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციით. ასეთი შემსყიდველი ორგანიზაციები ვალდებული არიან სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება კონსოლიდირებული ტენდერით გათვალისწინებულ შესყიდვის ობიექტზე დადონ მხოლოდ კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებულ მიმწოდებელთან.

5. სატენდერო პირობებს ამტკიცებს სატენდერო კომისია.
6. სატენდერო პირობების პროექტს შეიმუშავებს, სატენდერო კომისიას დასამტკიცებლად წარუდგენს, დამტკიცებულ სატენდერო პირობებს სისტემაში განათავსებს და კონსოლიდირებულ ტენდერს აცხადებს სააგენტო.

მუხლი 12. გამარტივებული შესყიდვა

1. გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ხდება იმ ერთგვაროვანი ობიექტების შესყიდვა, რომლის ღირებულება ნაკლებია 5 000 ლარზე.
2. შემსყიდველი ორგანიზაცია გამარტივებული შესყიდვის განხორციელებამდე შესასყიდი ობიექტის სავარუდო ფასის განსაზღვრის მიზნით ატარებს ბაზრის კვლევას, რომლის შედეგების შესაბამისად არჩევს საუკეთესო დაბალი წინადადების ფასის მქონე მიმწოდებელს და აფორმებს მასთან სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას.
3. გამარტივებული წესით შესყიდვის განხორციელებისას არ არის სავალდებულო შესყიდვის ელექტრონული საშუალების გამოყენება. გამარტივებული შესყიდვის სპეციალური საფუძვლები გათვალისწიენებულია ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით, რომლის მიხედვითაც, სახელმწიფო შესყიდვა შეიძლება განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვით, თუ:
   3.1. საქონლის მიწოდება, სამუშაოს შესრულება ან მომსახურების გაწევა მხოლოდ ერთი პირის ექსკლუზიური უფლებაა და არ არსებობს მიზანშეწონილი ალტერნატივა შესყიდვის ობიექტის ჩასანაცვლებლად. ექსკლუზიურ უფლებად არ განიხილება შემთხვევა, როდესაც:
      3.1.1. შესასყიდი საქონლის ან მომსახურების სავარაუდო ღირებულება აღემატება 2 000 000 ლარს, ხოლო სამუშაოსი – 4 000 000 ლარს და ქვეყნის გარეთ, გონივრულ ტერიტორიულ ფარგლებში, არსებობს სხვა პირი, რომელსაც შეუძლია განახორციელოს იმავე საქონლის მიწოდება, სამუშაოს შესრულება ან მომსახურების გაწევა;
      3.1.2. შესასყიდი საქონლის ან მომსახურების სავარაუდო ღირებულება არ აღემატება 2 000 000 ლარს, ხოლო სამუშაოსი – 4 000 000 ლარს და ქვეყნის შიგნით არსებობს სხვა პირი, რომელსაც შეუძლია განახორციელოს იმავე საქონლის მიწოდება, სამუშაოს შესრულება ან მომსახურების გაწევა;
   3.2. არსებობს გადაუდებელი აუცილებლობა; ასეთ შემთხვევაში შესასყიდი საქონლის რაოდენობა, სამუშაოს ან მომსახურების მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული პრობლემების მოსაგვარებლად საჭირო შესაბამის ვადებს;
   3.3. შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილებით, მიმწოდებლისაგან შესყიდული ობიექტის ხარისხის გაუარესების თავიდან აცილების ან/და მისი შემდგომი ექსპლუატაციის უზრუნველყოფის მიზნით აუცილებელია შესყიდვა განხორციელდეს იმავე მიმწოდებლისაგან ან იმავე მიმწოდებელთან დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქვეკონტრაქტორისაგან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც განსახორციელებელი შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება აღემატება თავდაპირველად შესყიდული ობიექტის ღირებულებას;
   3.4. სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით შესყიდვების განხორციელება დადგინდა საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტით.
   3.5. ხორციელდება წარმომადგენლობით ხარჯებთან დაკავშირებული სახელმწიფო შესყიდვა;
   3.6. სახელმწიფო შესყიდვა ხორციელდება საქართველოს ნორმატიული აქტით დადგენილი გადასახდელების გადახდის გზით;

3.7. ხორციელდება საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული წლოვანების ან/და პირობების მქონე გარანტიის ავტოსატრანსპორტო საშუალების ტექნიკური მომსახურების ან/და ასეთი მომსახურებისათვის საჭირო სათადარიგო ნაწილების ან/და საცხებ-საპოხი მასალების სახელმწიფო შესყიდვა;

4. გამარტივებული შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება მისი გაფორმებიდან 10 დღის ვადაში უნდა აიტვირთოს სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში.

მუხლი 13. ელექტრონული ტენდერი

1. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად თუ შესყიდვის ღირებულება, შესყიდვის ნებისმიერი ობიექტისათვის, უდრის ან აღემატება 5000 ლარს სახელმწიფო შესყიდვა უნდა განხორციელდეს ელექტრონული ტენდერის საშუალებით.
   1.1. იმ საქონლისა და მომსახურების შესყიდვა, რომლის სავარაუდო ღირებულება აღემატება 200,000 (ორასი ათასი) ლარს, რომელიც დაკავშირებულია ფონდის საქმიანობის სპეციფიკასთან და გათვალისწინებულია სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის მიერ“ საქონლისა და მომსახურების შესყიდვების სპეციალური წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 25 მარტის #124 დადგენილების (შემდგომში „სპეციალური წესი“) დანართ №1 და №2-ში, ხორციელდება ელექტრონული ტენდერის მეშვეობით.
2. ელექტრონულ ტენდერს ატარებს სატენდერო კომისია, რომელსაც ქმნის საწარმოს დირექტორი არანაკლებ 3 წევრის შემადგენლობით.
3. სატენდერო კომისიის წევრებად ინიშნებიან შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელი ან/და მისი მოადგილეები, ამ ორგანიზაციის სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელები. იმ შემთხვევაში, როცა შესაბამის კანდიდატთა რაოდენობა არასაკმარისია, კომისიის წევრებად შეიძლება დაინიშნონ შემსყიდველი ორგანიზაციის სხვა თანამშრომლებიც.
   3.1. იმ შემთხვევაში, თუ ელექტრონული ტენდერი ტარდება სპეციალური წესის თანახმად, სატენდერო კომისიის წევრებად ინიშნებიან შემსყიდველი ორგანიზაციის თანამშრომლები.
4. სატენდერო კომისიას თავმჯდომარეობს შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელი ან მის მიერ დანიშნული პირი.
5. სატენდერო კომისია გადაწყვეტილებას იღებს კომისიის წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. სატენდერო კომისიის წევრს, რომელიც არ ეთანხმება კომისიის გადაწყვეტილებას, უფლება აქვს, წერილობით წარადგინოს თავისი აზრი, რომელიც უნდა დაერთოს სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებას. ხმათა თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია სატენდერო კომისიის თავმჯდომარის ხმა.
6. ელექტრონული შესყიდვა შესაძლებელია ჩატარდეს განსხვავებული ტიპის ტენდერების მეშვეობით (მაგ.: NAT, SPA და სხვ.), რომელთა შესახებ გადაწყვეტილებას იღებს შემდყიდველი ორგანიზაცია შესყიდვის მიზნებისა და შესასყიდი ობიექტის გათვალისწინებით.
7. ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადება და სატენდერო დოკუმენტაცია მტკიცდება სატენდერო კომისიის მიერ განცხადების გამოქვეყნებამდე, რაც აისახება სატენდერო კომისიის სხდომის ოქმში.
8. სატენდერო განცხადება, რომელიც იტვირთება ერთიან ელექტრონულ სისტემაში უნდა მოიცავდეს:
   8.1. შესყიდვის ტიპს (რომელი მეთოდით ტარდება ელექტრონული ტენდერი);
   8.2. სატენდერო განცხადების ნომერს;
   8.3. ტენდერის სტატუსს;
   8.4. შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელებას;
   8.5. ელექტრონული ტენდერის გამოცხადების თარიღს ზუსტი დროის მითითებით;
   8.6. სატენდერო წინადადებების მიღების დაწყების თარიღს ზუსტი დროის მითითებით;
   8.7. სატენდერო წინადადებების მიღების დასრულების თარიღს ზუსტი დროის მითითებით;

8.8. შესყიდვის დაფინანსებას (წელსა და წყაროს);
8.9. შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებას (თუ ელექტრონული ტენდერი ტარდება პრეისკურანტის საფუძველზე – მითითებას პრეისკურანტის სავარაუდო და შესყიდვის ობიექტის სახელშეკრულებო ღირებულებებზე);
8.10. მითითებას, სატენდერო წინადადება წარდგენილი უნდა იქნეს დღგ-ის გარეშე თუ მისი ჩათვლით;
8.11. კლასიფიკატორის დანაყოფსა და მის შესაბამის CPV კოდს;
8.12. შესყიდვის შესაძლო ყველაზე დეტალურ ობიექტსა და მის შესაბამის CPV კოდს (კლასიფიკატორის კატეგორია, კლასი, ჯგუფი ან დანაყოფი. კლასიფიკატორის დაბალი იერარქიული დონის მითითების შეუძლებლობის შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაცია უთითებს მის მომდევნო ზედა იერარქიულ დონეს);
8.13. შესყიდვის ობიექტის რაოდენობას/მოცულობას;
8.14. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადას;
8.15. ბიჯის ოდენობას;
8.16. ელექტრონული გარანტიის ოდენობას;
8.17. ელექტრონული გარანტიის მოქმედების ვადას;
8.18. შემსყიდველი ორგანიზაციის იმ უფლებამოსილი წარმომადგენლის სახელსა და გვარს, რომელმაც განათავსა სატენდერო განცხადება სისტემაში, განთავსების თარიღისა და ზუსტი დროის მითითებით.

9. სპეციალური წესით ჩატარებული ელექტრონული ტენდერის განცადება, უნდა მოიცავდეს:
9.1. განცხადების ნომერი;
9.2. შემსყიდველის დასახელება;
9.3. გამოცხადების თარიღი, ზუსტი დროის მითითებით;
9.4. წინადადებების მიღების დაწყებისა და დასრულების თარიღი, ზუსტი დროის მითითებით;
9.5. შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება;
9.6. შესყიდვის ობიექტის ერთეულის ღირებულება (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
9.7. მითითება იმის შესახებ, რომ წინადადება წარდგენილი უნდა იქნეს დამატებული ღირებულების გადასახადის (შემდგომში – დღგ) გათვალისწინებით, თუ – მის გარეშე;
9.8. შესყიდვის ობიექტის რაოდენობა ან მოცულობა;
9.9. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ან შესრულების ვადა;
9.10. ბიჯის ოდენობა, მათ შორის, ელექტრონული ვაჭრობის წესი და პირობები.

10. „სახელმწიფო შესყიდვების“ შესახებ საქართველოს კანონის წესის დაცვით ჩატარებული ელექტრონული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაცია უნდა შეიცავდეს:
10.1. იმ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს პრეტენდენტი;
10.2. შესასყიდი საქონლის რაოდენობას, სამუშაოს ან მომსახურების მოცულობას, საქონლის მიწოდების, სამუშაოს შესრულების ან მომსახურების გაწევის ვადას, ადგილსა და ფორმას;
10.3. შესყიდვის ობიექტის ტექნიკური, შესრულების ან/და ფუნქციური სპეციფიკაციების სრულ აღწერას, მათ შორის, გეგმებს, ნახაზებს, ესკიზებს, ინფორმაციას ხარისხის, ფუნქციონირების, უსაფრთხოების, ზომების, შეფუთვის, ნიშანდებისა და მარკირების, წარმოების მეთოდისა და პროცესის, სიმბოლოების, ტერმინების, შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ დადგენილი შესაბამისობის მოთხოვნების შესახებ და სხვა;
10.4. ხელშეკრულების იმ აუცილებელ პირობებს, რომლებიც შემსყიდველი ორგანიზაციისათვის წინასწარ არის ცნობილი, აგრეთვე მითითებას ხელშეკრულების ფორმაზე და ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტიაზე (მისი არსებობის შემთხვევაში);

10.5. მეთოდებს, რომლებითაც უნდა იყოს გაანგარიშებული სატენდერო წინადადების ღირებულება, იმის მითითებით, უნდა შეიცავდეს თუ არა იგი საქონლის, სამუშაოს ან მომსახურების ღირებულების გარდა სხვა ხარჯებსაც (ტრანსპორტირება, დაზღვევა, გადასახადები და სხვა);
10.6. სატენდერო დოკუმენტაციის შესახებ დამატებითი ინფორმაციისა და განმარტებების მოთხოვნის საშუალებებსა და პროცედურას;
10.7. სატენდერო კომისიის აპარატის იმ წევრის ვინაობასა და საკონტაქტო ინფორმაციას, რომელსაც უფლება აქვს, გასცეს ინფორმაცია და განმარტებები შესყიდვის პროცედურების შესახებ;
10.8. საკომუნიკაციო მომსახურების ალტერნატიული შესყიდვის თაობაზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში.
10.9. სატენდერო დოკუმენტაციის შედგენა ხდება კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით დადგენილი წესის შესაბამისად.

11. სპეციალური წესის შესაბამისად ჩატარებული ელექტრონული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაცია უნდა მოიცავდეს:
11.1. იმ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს პრეტენდენტი;
11.2. შესასყიდი საქონლის რაოდენობას, მომსახურების მოცულობას, საქონლის მიწოდების ან მომსახურების გაწევის ვადას, ადგილსა და ფორმას;
11.3. შესყიდვის ობიექტის ტექნიკური და ხარისხობრივი მაჩვენებლების სრულ აღწერას, მათ შორის, შესაბამის ტექნიკურ სპეციფიკაციებს, გეგმებს, ნახაზებსა და ესკიზებს (მათი არსებობის შემთხვევაში). შემსყიდველი უფლებამოსილია, შესყიდვის ობიექტის აღწერილობაში მიუთითოს კონკრეტული სასაქონლო ნიშანი, პატენტი, მოდელი, წარმოშობის წყარო ან მწარმოებელი, შესყიდვის ობიექტის ზუსტი აღწერის სხვა საშუალებები. ასეთ შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია, არ დაუშვას მსგავსი ან/და ეკვივალენტური ან/და ანალოგიური მახასიათებლების მქონე საქონლისა და მომსახურების წინადადების მიღება;
11.4. მეთოდებს, რომლებითაც უნდა იყოს გაანგარიშებული წინადადების ღირებულება, იმის მითითებით, უნდა შეიცავდეს თუ არა იგი საქონლის ან მომსახურების ღირებულების გარდა სხვა ხარჯებსაც (ტრანსპორტირება, დაზღვევა, გადასახადები და სხვა);
11.5. შესყიდვების კომისიის ან აპარატის იმ წევრის ვინაობასა და საკონტაქტო ინფორმაციას, რომელსაც უფლება აქვს, გასცეს ინფორმაცია და განმარტებები შესყიდვის ელექტრონული პროცედურის შესახებ;
11.6. მითითებას შესყიდვის ობიექტის ნიმუშის წარდგენის შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

12. „სახელმწიფო შესყიდვების“ შესახებ კანონის შესაბამისად, ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის გასაცნობად, აგრეთვე სატენდერო წინადადების წარსადგენად განისაზღვრება შემდეგი ვადები:
12.1. 150 000 ლარამდე ღირებულების ერთგვაროვანი საქონლისა და მომსახურების შესყიდვის შემთხვევაში – არანაკლებ 7 დღე, რომელთაგან სულ მცირე პირველი 5 დღე განკუთვნილია სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის გასაცნობად, ხოლო მომდევნო 2 დღე – სატენდერო წინადადების წარსადგენად;
12.2. 150 000 ლარის და მეტი ღირებულების ერთგვაროვანი საქონლისა და მომსახურების შესყიდვის შემთხვევაში – არანაკლებ 10 დღე, რომელთაგან სულ მცირე პირველი 7 დღე განკუთვნილია სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის გასაცნობად, ხოლო მომდევნო 3 დღე – სატენდერო წინადადების წარსადგენად. იმავდროულად, თუ შესასყიდი საქონლის ან მომსახურების სავარაუდო ღირებულება შეადგენს ან აღემატება სახელმწიფო შესყიდვების სფეროში მოქმედი ევროკავშირის დირექტივებით დადგენილ მონეტარულ ზღვრებს, განისაზღვრება არანაკლებ 30 დღე, რომელთაგან სატენდერო განცხადებისა და სატენდერო
12.3.

12.4. დოკუმენტაციის გასაცნობად განკუთვნილია სულ მცირე პირველი 25 დღე, ხოლო სატენდერო წინადადების წარსადგენად – 5 დღე;

12.5. 300 000 ლარამდე ღირებულების ერთგვაროვანი სამუშაოს შესყიდვის შემთხვევაში – არანაკლებ 10 დღე, რომელთაგან სულ მცირე პირველი 7 დღე განკუთვნილია სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის გასაცნობად, ხოლო მომდევნო 3 დღე – სატენდერო წინადადების წარსადგენად;

12.6. 300 000 ლარის და მეტი ღირებულების ერთგვაროვანი სამუშაოს შესყიდვის შემთხვევაში – არანაკლებ 20 დღე, რომელთაგან სულ მცირე პირველი 15 დღე განკუთვნილია სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის გასაცნობად, ხოლო მომდევნო 5 დღე – სატენდერო წინადადების წარსადგენად. იმავდროულად, თუ შესასყიდი სამუშაოს სავარაუდო ღირებულება შეადგენს ან აღემატება სახელმწიფო შესყიდვების სფეროში მოქმედი ევროკავშირის დირექტივებით დადგენილ მონეტარულ ზღვრებს, განისაზღვრება არანაკლებ 30 დღე, რომელთაგან სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის გასაცნობად განკუთვნილია სულ მცირე პირველი 25 დღე, ხოლო სატენდერო წინადადების წარსადგენად – 5 დღე.

13. სპეციალური წესით განხორციელებული ელექტრონული ტენდერის განცხადებისა და დოკუმენტაციის გაცნობის ვადა უნდა შეადგენდეს არანაკლებ 7 (შვიდი) კალენდარულ დღეს განცხადებისა და დოკუმენტაციის სისტემაში განთავსების მომენტიდან.
14. შესყიდვების კომისიას უფლება აქვს, წინადადების მიღების დროის დაწყებამდე შეიტანოს ცვლილება განცხადებასა და დოკუმენტაციაში მითითებულ მონაცემებში. დოკუმენტაციაში ცვლილების შეტანა შესაძლებელია დოკუმენტაციის გაუქმებითა და შეცვლილი დოკუმენტაციის სისტემაში ატვირთვის გზით. დაუშვებელია შესყიდვის ობიექტის ცვლილება, ხოლო სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით განხორციელებული ელექტრონული ტენდერის შემთხვევაში აგრეთვე დაუშვებელია ელექტრონული ტენდერის ჩატარების მეთოდის ცვლილებავ.

მუხლი 14. წინადადების წარდგენა ელექტრონულ ტენდერში

1. შესყიდვის ელექტრონულ პროცედურაში მონაწილეობის მისაღებად პრეტენდენტს შეუძლია, წარადგინოს წინადადება წინადადების მიღების ვადის დაწყების ეტაპიდან წინადადების მიღების ვადის დასრულებამდე.
2. წინადადების წარდგენამდე ნებისმიერ პირს უფლება აქვს, სისტემაში გაეცნოს განცხადებასა და დოკუმენტაციას.
3. სატენდერო წინადადების წარდგენა შესაძლებელია მხოლოდ სისტემის მეშვეობით, აფიდავიტის პირობებზე დათანხმების, ელექტრონული გარანტიის წარდგენისა და საფასურის გადახდის შემდეგ, ამ პუნქტში გათვალისწინებული თანმიმდევრობით.
4. დღგ-ის გადამხდელი პრეტენდენტი სატენდერო წინადადებას წარადგენს დღგ-ის გარეშე ან მისი ჩათვლით, იმისდა მიხედვით, თუ რა მითითებას შეიცავს სატენდერო განცხადება დღგ-სთან დაკავშირებით. პრეტენდენტი, რომელიც არ არის დღგ-ის გადამხდელი, სატენდერო წინადადებას წარადგენს დღგ-ის გარეშე, მიუხედავად იმისა, თუ რა მითითებას შეიცავს სატენდერო განცხადება დღგ-სთან დაკავშირებით. თუ სატენდერო განცხადებით გათვალისწინებულია სატენდერო წინადადების დღგ-ის გარეშე წარმოდგენა, პრეტენდენტი სატენდერო წინადადებას წარადგენს დღგ-ის გარეშე, მიუხედავად იმისა, არის თუ არა იგი დღგ-ის გადამხდელი. ასეთ შემთხვევაში, თუ გამარჯვებული პრეტენდენტი ხელშეკრულების დადების მომენტისთვის, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, არის დღგ-ის გადამხდელი, შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, ხელშეკრულების ღირებულებაში გაითვალისწინოს წინადადების ფასის შესაბამისი დღგ-ის ოდენობა.

მუხლი 15. შერჩევა/შეფასება

1. სატენდერო კომისია, ყოველი კონკრეტული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შემთხვევაში განსაზღვრავს მოთხოვნებს, რომელთაც უნდა აკმაყოფილებდეს პრეტენდენტი და შესყიდვის ობიექტი.
2. საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენის მოთხოვნა სავალდებულოა იმ შემთხვევაში, თუ შესყიდვის ელექტრონული პროცედურით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება შეადგენს ან აღემატება 200 000 (ორასი ათასი) ლარს.
3. პრეტენდენტთა მიმართ მოთხოვნები შესაძლებელია დადგინდეს მათი ცოდნის, გამოცდილების, სანდოობის, ფინანსური და ტექნიკური შესაძლებლობების შეფასების მიზნით. სპეციალური წესის შესაბამისად ტექნიკური მოთხოვნები შეიძლება, დაწესებულ იქნეს პრეტენდენტთა პროფესიული კვალიფიკაციის, ფინანსური რესურსების, გამოცდილებისა და რეპუტაციის, ტექნიკური აღჭურვილობისა და სხვა საკითხების მიმართ.
4. კომისიის მიერ პრეტენდენტები ფასდებიან წინადადების ფასის, მათ მიერ სისტემაში განთავსებული ტექნიკური დოკუმენტაციისა და საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტაციის მიხედვით (ასეთის მოთხოვნის შემთხვევაში), ამ პუნქტით გათვალისწინებული თანმიმდევრობით.
5. ელექტრონული ტენდერისთვის ტენდერის სტატუსის „წინადადებების მიღება დასრულებულია“ მინიჭებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში, სატენდერო კომისიამ უნდა იმსჯელოს, შეესაბამება თუ არა ყველაზე დაბალი წინადადების ფასის მქონე პრეტენდენტის ტექნიკური დოკუმენტაცია სატენდერო პირობებს. ამ პუნქტში მითითებული ვადა შესაძლებელია გაგრძელდეს არაუმეტეს 5 სამუშაო დღით, მხოლოდ სატენდერო კომისიის დასაბუთებული გადაწყვეტილებით, რომელშიც მითითებული იქნება სათანადო ობიექტური მიზეზ(ებ)ი.
6. კომისიამ უნდა იმსჯელოს, შეესაბამება თუ არა წინადადების ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია სისტემაში განთავსებულ ტექნიკურ დოკუმენტაციას. იმ შემთხვევაში, თუ პრეტენდენტის მიერ სისტემაში ატვირთული ტექნიკური დოკუმენტაცია არ შეესაბამება განცხადებასა და დოკუმენტაციაში მითითებულ მოთხოვნებს, კომისიის გადაწყვეტილებით ხდება პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია, გარდა ამ მუხლის მე-7 და მე-8 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
7. სატენდერო კომისია არ ახდენს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას, თუ მისი ტექნიკური დოკუმენტაცია არ შეიცავს ისეთ მონაცემ(ებ)ს ან/და შეიცავს ისეთ უზუსტობას/უზუსტობებს, რომლის/რომელთა წარდგენა ან/და დაზუსტება არ გამოიწვევს ტექნიკური დოკუმენტაციის არსებით ცვლილებას ან/და არ გაზრდის წინადადების ფასს. ამასთან, დაზუსტებას არ ექვემდებარება ტექნიკური დოკუმენტაცია, თუ სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნ(ებ)ის შესაბამისად, არ არის წარდგენილი ან მასში არ არის მითითებული ინფორმაცია შესყიდვის ობიექტის სასაქონლო ნიშნის, პატენტის, მოდელის, წარმოშობის წყაროს ან მწარმოებლის შესახებ, ასევე არ არის წარდგენილი ხარჯთაღრიცხვა ან წარდგენილ ხარჯთაღრიცხვაში განუფასებელი პოზიცი(ებ)ის რაოდენობა აღემატება განსაფასებელი პოზიციების 1%-ს.
8. თუ სისტემაში მთლიანი ტექნიკური დოკუმენტაცია ატვირთულია ხარვეზის მქონე ფაილის სახით (რომელიც არ იკითხება), სატენდერო კომისიას უფლება არ აქვს, პრეტენდენტს მიმართოს ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტების მოთხოვნით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხარვეზიანია ტექნიკური დოკუმენტაციის ისეთი ნაწილი, რომლის წარმოდგენა ან/და დაზუსტება არ გამოიწვევს ტექნიკური დოკუმენტაციის არსებით ცვლილებას ან/და არ გაზრდის წინადადების ფასს.

9. სატენდერო კომისია მიმართავს პრეტენდენტს ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტების მოთხოვნით, რისთვისაც განუსაზღვრავს მას გონივრულ, მაგრამ არაუმეტეს 3 სამუშაო დღის ვადას. სატენდერო კომისია ვალდებულია, ზუსტად მიუთითოს პრეტენდენტს დასაზუსტებელი პოზიციის/ნაწილის შესახებ. დაზუსტებული ტექნიკური დოკუმენტაცია სატენდერო კომისიას წარედგინება სისტემის მეშვეობით.
10. სატენდერო კომისია დაზუსტებული ტექნიკური დოკუმენტაციის სატენდერო პირობებთან შესაბამისობას განიხილავს ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტებისთვის განსაზღვრული ვადის გასვლიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღეში, რომელიც შესაძლებელია გაგრძელდეს არაუმეტეს 2 სამუშაო დღით, მხოლოდ სატენდერო კომისიის დასაბუთებული გადაწყვეტილებით, რომელშიც მითითებული იქნება სათანადო ობიექტური მიზეზ(ებ)ი.
11. სპეციალური წესის შესაბამისად კომისია არ ახდენს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას, თუ მის მიერ სისტემაში ატვირთული ტექნიკური დოკუმენტაცია არ შეიცავს ისეთ მონაცემებს ან/და შეიცავს ისეთ უზუსტობებს, რომელთა წარდგენა ან/და დაზუსტება არ გამოიწვევს ტექნიკური დოკუმენტაციის არსებით ცვლილებას ან/და არ გაზრდის წინადადების ფასს, ასევე პრეტენდენტის მიერ დაშვებული მექანიკური შეცდომებისას, როგორებიცაა: არასწორი ჯამის ან ნამრავლის მითითება, სიტყვიერი და ციფრობრივი გამოსახულების შეუსაბამობა, რომლებიც შესაძლებელია, შესწორდეს დაზუსტების გარეშე, ერთეულის ფასის უპირატესობის პრინციპის გათვალისწინებით. დოკუმენტაციის დაზუსტებისათვის კომისია პრეტენდენტს განუსაზღვრავს გონივრულ ვადას, მაგრა არანაკლებ 3 სამუშაო დღისა.
12. ,,სახელმწიფო შესყიდვების“ შესახებ კანონის შესაბამისად ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტების მოთხოვნა დასაშვებია მხოლოდ ელექტრონული ტენდერისთვის ტენდერის სტატუსის „გამარჯვებული გამოვლენილია“ მინიჭებამდე, ხოლო სპეციალური წესის შესაბამისად, ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტების მოთხოვნა დასაშვებია საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენის მოთხოვნამდე.
13. თუ წინადადების ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის მიერ წარდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია არ შეესაბამება განცხადებას ან/და დოკუმენტაციას ან მის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარუდგენლობის ან/და ხარვეზის მქონე მონაცემების წარდგენის შემთხვევაში, კომისია ვალდებულია მოახდინოს ამ პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია.
14. „სახელმწიფო შესყიდვების“ შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, პრეტენდენტი ექვემდებარება დისკვალიფიკაციას, თუ:
    14.1. იგი უარს იტყვის სატენდერო წინადადებაზე;
    14.2. მისი ტექნიკური დოკუმენტაცია არ შეესაბამება სატენდერო პირობებს;
    14.3. იგი არ დააზუსტებს ტექნიკურ დოკუმენტაციას დადგენილ ვადაში, არასრულყოფილად დააზუსტებს ან/და დაზუსტების შედეგად არსებითად შეცვლის მას;
    14.4. იგი არ წარადგენს ნიმუშს, ექსპერტიზის დასკვნას ან/და ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დამადასტურებელ დოკუმენტ(ებ)ს დადგენილ ვადაში ან მის მიერ წარდგენილი ნიმუში, ექსპერტიზის დასკვნა ან/და ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი არ შეესაბამება სატენდერო პირობებს ან/და ტექნიკურ დოკუმენტაციას;
    14.5. იგი არ წარადგენს სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემების ამსახველ დოკუმენტ(ებ)ს დადგენილ ვადაში ან მის მიერ წარდგენილი სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემების ამსახველი დოკუმენტ(ებ)ი არ შეესაბამება სატენდერო პირობებს;
    14.6. იგი უარს ამბობს ან სხვაგვარად გამოხატავს უარს ხელშეკრულების დადებაზე;
    14.7. იგი ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით ჩაიდენს არაკეთილსინდისიერ ქმედებას;

14.8. იგი არ წარადგენს ხარჯთაღრიცხვას დადგენილი წესით, არ დააზუსტებს მას დადგენილ ვადაში, დაზუსტების შედეგად არსებითად შეცვლის მას ან/და გაზრდის წინადადების ფასს, ან/და არ წარადგენს ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დამადასტურებელ დოკუმენტ(ებ)ს ან ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი არ შეესაბამება სატენდერო პირობებს ან/და ტექნიკურ დოკუმენტაციას;

15. სპეციალური წესის შესაბამისად პრეტენდენტი ექვემდებარება დისკვალიფიკაციას, თუ:
    15.1. თუ მის მიერ წარდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია არ შეესაბამება განცხადებას ან/და დოკუმენტაციას;
    15.2. საკვალიფიკაციო მონაცემები არ შეესაბამება შესყიდვის ელექტრონული პროცედურის ჩატარების შესახებ დოკუმენტაციით განსაზღვრულ მოთხოვნებს;
    15.3. თუ პრეტენდენტი უარს იტყვის თავის წინადადებაზე;
    15.4. თუ ის არ დააზუსტებს ტექნიკურ დოკუმენტაციას ამ წესის მე-12 მუხლის მე-6 პუნქტით დადგენილ ვადაში;
    15.5. თუ ის, ამ წესის არ წარადგენს შესყიდვის ელექტრონულ პროცედურაში გარანტიის დედანს ან წარადგენს დაგვიანებით;
    15.6. თუ ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით ჩაიდენს არაკეთილსინდისიერ ქმედებას;
    15.7. თუ გამარჯვებული პრეტენდენტი არ წარადგენს ხელშეკრულების შესრულების გარანტიას და/ან ფასების ცხრილს/ხარჯთაღრიცხვას, უარს აცხადებს ხელშეკრულების დადებაზე ან/და სხვაგვარად გამოხატავს უარს ხელშეკრულების დადებაზე.

მუხლი 16. ხელშეკრულების გაფორმება

1. გამარჯვებული პრეტენდენტის გამოვლენის შემდგომ, გამარჯვებულ პრეტენდენტსა და შემსყიდველს შორის იდება ხელშეკრულება, რომელიც ატვირთული უნდა იქნეს სისტემაში.
2. წინასწარი ანგარიშსწორების შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია წარუდგინოს შემსყიდველს წინასწარ გადასახდელი თანხის ოდენობის გარანტია, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.
3. ხელშეკრულება შესაძლებელია დაიდოს როგორც ქართულ, ასევე უცხოურ ენაზე. ხელშეკრულების უცხოურ ენაზე დადების შემთხვევაში იგი, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, უნდა ითარგმნოს ქართულ ენაზე. ხელშეკრულებას არ სჭირდება თარგმნა, თუ იგი იდება ერთ დოკუმენტად, პარალელურად ქართულ და უცხოურ ენებზე. სპეციალური წესით უცხოურ ენაზე დადებული ხელშეკრულება არ მოითხოვს სავალდებულო ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს.
4. თუ ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს ან აღემატება 200 000 ლარს, შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, მოითხოვოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია.
5. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დასაშვებია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ღირებულების ოდენობის გაზრდა არაუმეტეს 10%-ისა, ხოლო სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის მიზნით გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში, სამშენებლო მასალების ხარჯის ზრდის დაფინანსების გათვალისწინებით, აგრეთვე დასაშვებია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ღირებულების გაზრდა „ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების ხელშეწყობის მიზნით განსახორციელებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 მარტის №619 განკარგულებით დადგენილი წესით. ამ პუნქტის მოქმედება არ ვრცელდება ნავთობპროდუქციის (საწვავის) სახელმწიფო შესყიდვაზე.

6. „სახელმწიფო შესყიდვების“ შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად ხელშეკრულება უნდა მოიცავდეს
   6.1. მხარეთა ზუსტ სახელწოდებასა და რეკვიზიტებს;
   6.2. სატენდერო განცხადების ნომერს;
   6.3. შესყიდვის ობიექტის დასახელებასა და მის შესაბამის CPV კოდს (კლასიფიკატორის კატეგორია, კლასი, ჯგუფი ან დანაყოფი. კლასიფიკატორის დაბალი იერარქიული დონის მითითების შეუძლებლობის შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია უთითებს მის მომდევნო ზედა იერარქიულ დონეს);
   6.4. ხელშეკრულების ღირებულებას;
   6.5. საქონლის მიწოდების, მომსახურების გაწევის ან/და სამუშაოს შესრულების ვადას (ხელშეკრულების შესრულების ვადა);
   6.6. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის პირობებს (არსებობის შემთხვევაში);
   6.7. ანგარიშსწორების წესს, აგრეთვე, არსებობის შემთხვევაში, წინასწარი ანგარიშსწორების პირობებს;
   6.8. სამუშაოს შესყიდვის შემთხვევაში – შესასრულებელი სამუშაოს გონივრულ საგარანტიო ვადას;
   6.9. ხელშეკრულების მოქმედების კონკრეტულ ვადას.
7. სპაციალური წესით განხორციელებული შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში გათვალისწინებული უნდა იქნეს შემდეგი აუცილებელი ელემენტები და პირობები:
   7.1. ხელშეკრულების მხარეების ზუსტი დასახელება და რეკვიზიტები;
   7.2. ხელშეკრულების ობიექტის დასახელება, ტექნიკური პარამეტრები, ძირითადი მახასიათებლები და საიდენტიფიკაციო მონაცემები, რაოდენობა, ერთეულის ან/და მთლიანი ღირებულება;
   7.3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება (ფასდათმობების, გადასახადების, ტრანსპორტირების, დაზღვევისა და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით);
   7.4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი, საჭიროების შემთხვევაში, არსებულ სტანდარტებთან შესაბამისობა;
   7.5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი;
   7.6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი;
   7.7. ანგარიშსწორების ფორმა და გრაფიკი (ვადები);
   7.8. ხელშეკრულების შესრულების გარანტია (ამ მექანიზმის გამოყენების შემთხვევაში);
   7.9. მხარეთა უფლება-მოვალეობანი;
   7.10. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის;
   7.11. ფორსმაჟორული სიტუაციები;
   7.12. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასების გადასინჯვის შესაძლებლობა;
   7.13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა;
   7.14. დავების გადაწყვეტის წესი;
   7.15. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები.
8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა, სულ მცირე, 30 დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების შესრულების ვადას. აღნიშნულ შეზღუდვას არ ითვალისწინებს სპეციალური წესით დადებული ხელშეკრულებები.
9. შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი დაავალოს როგორც შემსყიდველი ორგანიზაციის თანამშრომელს ან თანამშრომელთა ჯგუფს, ასევე ნებისმიერ სხვა პირს. სპეციალური წესის შესაბამისად შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განხორციელების შემთხვევაში, შემსყიდველი გამოყოფს შესაბამის პირთა ჯგუფს (ინსპექტირების ჯგუფი). რომლის ფუნქციები მოიცავს:

9.1. საქონლისა და მომსახურების შესყიდვის შესახებ გაფორმებული ხელშეკრულებების პირობების ჯეროვანი შესრულების კონტროლი, უფლებამოსილი პირის მიერ მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერამდე დადგენილი მოცულობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების შესრულებასთან შესაბამისობის დადასტურება;
9.2. საქონლის ან/და მომსახურების მიმწოდებელთან ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება;
9.3. საჭიროების შემთხვევაში, ხელშეკრულების მიმდინარეობის ამსახველი პერიოდული დოკუმენტაციის წარმოება;
9.4. ხელშეკრულების მიმდინარეობის კონტროლის მიზნით, კანონმდებლობით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელება.

მუხლი 17. ერთ პირთან მოლაპარაკება

1. სპეციალირი წესით განსაზღვრული საქონლისა და მომსახურების შეძენა ამავე წესით დადგენილი პირობებით შესაძლებელია ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით ქართულ ენაზე, ინგლისურ ან სხვა უცხო ენებზე, თუ:
   1.1. შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება არ აღემატება 100 000 (ასი ათასი) ლარს;
   1.2. ხორციელდება საბანკო ან/და ინტელექტუალური მომსახურების შესყიდვა (მათ შორის, აუდიტორული, საექსპერტო, საბროკერო, საკონსულტაციო (მათ შორის, ფინანსური, საბუღალტრო, აქტივების განკარგვა), იურიდიული, საპროექტო).
2. ერთ პირთან მოლაპარაკებისა ახორციელებს საწარმოს ხელმძღვანელი ან მის მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უფლებამოსილი პირი (პირები).
3. შესყიდვის განხორციელება დასაშვებია წერილობითი ხელშეკრულების გარეშე, ამ მუხლის საფუძველზე განხორციელებული შესყიდვებისას. ასეთ შემთხვევებში, ხელშეკრულება შესაძლებელია ჩანაცვლდეს შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტით, რომელიც უნდა შეიცავდეს შესყიდვის ობიექტის დასახელებას, შესყიდვის ობიექტის ღირებულებას, შესყიდვის ობიექტის ღირებულების გადახდის დადასტურებას, მიმწოდებლის დასახელებასა და საიდენტიფიკაციო ნომერს (სახელი, გვარი, პირადი ნომერი/სახელწოდება, საიდენტიფიკაციო კოდი, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში – მისი დასახელება და მისამართი).

მუხლი 18. ფასთა გამოკითხვა

1. სპეციალირი წესით განსაზღვრული საქონლისა და მომსახურების შეძენა ამავე წესით დადგენილი პირობებით თუ შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება აჭარბებს 100 000 (ასი ათასი) ლარს და არ აღემატება 200 000 (ორასი ათასი) ლარს შეიძლება განხორციელდეს ფასთა გამოკითხვის საშუალებით.
2. ფასთა გამოკითხვის პროცედურებს ახორციელებს საწარმოს ხელმძღვანელი ან მის მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უფლებამოსილი პირი (პირები).
3. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, შეადგინოს დოკუმენტაცია ფასთა გამოკითხვის საშუალებით, საქონლის და/ან მომსახურების შესყიდვის შემთხვევაში.
4. შედგენილი დოკუმენტაცია ეგზავნება შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წინასწარ სათანადოდ შერჩეულ არანაკლებ 2 პირს.
5. შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს, მოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია ან დოკუმენტაცია შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებით.
6. შემსყიდველი ორგანიზაცია დოკუმენტაციის დაგზავნიდან არაუმეტეს 20 დღისა იღებს მიწვეული პირების გადაწყვეტილებებს მონაწილეობის მიღების თაობაზე და განაცხადებს, რომლებიც უნდა შეიცავდეს შემდეგ დოკუმენტებს:

6.1. განცხადება მონაწილეობის მიღების შესახებ;
6.2. ინფორმაცია ტექნიკური შესაბამისობის შესახებ;
6.3. ინფორმაცია ფასებისა და მიწოდების გრაფიკის შესახებ.

7. მონაწილეების მიერ წარდგენილი განაცხადები ხელმოწერილი უნდა იყოს მონაწილე პირის ხელმძღვანელის ან შესაბამისი უფლებამოსილი პირის მიერ.
8. მონაწილეების მიერ წარდგენილი განაცხადები შერჩეული უნდა იქნეს განაცხადების წარდგენის ვადის ამოწურვიდან არაუგვიანეს 3 კალენდარული დღისა.
9. მიწვეულ პირებს უფლება აქვთ, მიმართონ შემსყიდველ ორგანიზაციას დამატებითი ინფორმაციის მიღების მიზნით, შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებით.
10. გამარჯვებულად მიიჩნევა მონაწილე, რომლის განაცხადი სრულად შეესაბამება ფასთა გამოკითხვის დოკუმენტაციის პირობებს და აქვს უმცირესი ფასი.

დანართი №1

სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის“ საქმიანობის სპეციფიკასთან დაკავშირებული საქონლის ჩამონათვალი

№	საქონლის დასახელება
1	ქარის მეტეოანძის, ელექტროსადგურისა და მზის ელექტროსადგურის მოწყობილობები და მათი სათადარიგო ნაწილები, ასევე მათი დემონტაჟ-მონტაჟისათვის საჭირო მასალა-მოწყობილობები
2	მონაცემთა მიღებისა და მართვის სისტემის მასალა-მოწყობილობები
3	განახლებადი ენერგიის ობიექტების მართვის სისტემა, მისი პროგრამული და არაპროგრამული მოწყობილობები, მისი მონტაჟისათვის საჭირო მასალა-მოწყობილობები
4	განახლებადი ენერგიის ობიექტების კვლევისთვის, პროექტირებისა და ექსპლუატაციისათვის საჭირო პროგრამა და მისი ლიცენზიები

დანართი №2

სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის“ საქმიანობის სპეციფიკასთან დაკავშირებული მომსახურების ჩამონათვალი

№	მომსახურების დასახელება
1	საექსპერტო, საპროექტო, ეკოლოგიის სფეროს, საინჟინრო, არქიტექტურული, საბროკერო, საბაჟო, საკონსულტაციო, საინვესტიციო, აუდიტორული, საბანკო, სარეკლამო და მარკეტინგული მომსახურება, ბაზრის კვლევა და ეკონომიკური კვლევა, გამოკითხვები და სტატისტიკა.
2	ენერგეტიკის სფეროში ცნობიერების ამაღლებასთან დაკავშირებული კონფერენციების, გამოფენების, სამუშაო შეხვედრების, პრეზენტაციების, ფორუმების ან სხვა მსგავსი ტიპის ღონისძიებების მოწყობისათვის საჭირო მომსახურება.
3	იურიდიული მომსახურება, დაკავშირებული სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის“ საქმიანობის სპეციფიკასთან.
4	განახლებადი ენერგიის ობიექტების კვლევისთვის, პროექტირებისა და ექსპლუატაციისათვის საჭირო პროგრამა და მისი ლიცენზიები.